საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/09/2022
N 09-02-16/591

591-09-02-16-2-202209221026

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი წერეთელს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, ბათუმის შემოვლითი გზა E-70-ის მშენებლობასთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. ბათუმის შემოვლითი გზა E-70-ის მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების, ასევე მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები;
2. ბათუმის შემოვლითი გზა E-70 მონაკვეთის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადების, ასევე ამავე მონაკვეთის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ასლები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები;
3. ჭოროხი-სარფის (ბათუმის შემოვლითი გზა E-70) მონაკვეთის გზის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ასლები;
4. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით შეჩერებულია ბათუმის შემოვლითი გზა E-70-ის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ გვაცნობოთ სამუშაოების შეჩერების მიზეზების შესახებ, ასევე რატომ ვერ მოხერხდა რამდენიმე თვეა მშენებლობაზე დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების გაცემა.
5. ინფორმაცია როდის დასრულდება ბათუმის შემოვლითი გზა E-70 გზის სამშენებლო სამუშაოები სრულად სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკთან ერთად (ბათუმის შემოვლითი გზა, ჭოროხი სარფის მონაკვეთი).

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"